საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 1204 2019 წლის 23 მაისი ქ. თბილისი

აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული ანტიდოპინგური ორგანიზაციის ღონისძიებებში კოსოვოს დელეგაციის მონაწილეობასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ქმედებების შესახებ

1. „იმ ქვეყნების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა მოქალაქეებსაც შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 ივნისის №255 დადგენილების დანართის შენიშვნების მე-4 პუნქტის თანახმად, 2019 წლის 27-28 მაისს, ქ. თბილისში გასამართ, აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული ანტიდოპინგური ორგანიზაციის ღონისძიებებში (მოცემული ორგანიზაციის საბჭოს სხდომასა და შედეგების მართვის ტრენინგში) მონაწილეობასთან დაკავშირებით, 2019 წლის 26 – 29 მაისის პერიოდში საქართველოში უვიზოდ შემოსვლისა და ყოფნის უფლება მიეცეთ აღნიშნული ღონისძიებების მონაწილე კოსოვოს დელეგაციის წევრებს.

2. ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულ პირთა საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს შესაბამისი პროცედურების განხორციელება, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ წარდგენილი სიის შესაბამისად.

3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულ პირთა საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა და მათი აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული ანტიდოპინგური ორგანიზაციის ღონისძიებებში მონაწილეობა არ ნიშნავს საქართველოს მხრიდან კოსოვოს რაიმე ფორმით აღიარებას.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**